ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

285.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲦᲚᲐ ᲕᲐᲪᲐᲠᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1973 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲓᲐᲜ ● № 85 (15602)

...ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ —ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲔᲜ თქვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ



ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲠᲘᲡᲬᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ —ᲐᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲛᲐᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲛᲐ

ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲫᲐᲣᲚᲘ ᲐᲚᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲚᲕᲘᲡ წინ ზუგდიდში გაიმართა მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირი. პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, სამეურნეო მუშაკებმა, სამინისტროებისა და უწყებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების ხელმძღვანელებმა, მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, ჩაის პლანტაციათა ოსტატებმა განიხილეს ჩაის ფოთლის წარმოების შემდგომი გაფართოების, ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების ხეზონისათვის მზადების საკითხი.

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, თათბირის მონაწილეებმა, სანამ დასხავდნენ მეჩაიეობის ახალი ალმავლობის გზებს ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წელს, გაზრდილი ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მიერ დღის წესრიგში დასმული მნიშვნელოვანი გადიდებული მოთხოვნების მიხედვით, კრიტიკულად გააანალიზეს

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სს რესპუბლიკის საერთო საკავშირო შრომის განწყობილებაში წამყვანი, როლი ეკუთვნის მთელი რიგი უძველესესი სუბტროპიკული და ტენიანური კულტურების წარმოებაში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი სამართლიანად უჭირავს ჩაის.

ნაადგილისა და ჰავის პირობების გამო საქართველო საბჭოთა კავშირში ამ ძვირფასი პროდუქტის ძირითადი მიმწოდებელია.

ამიტომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანა, მისი შრომითების საპატიო და, როგორც ხაზგასმით აღინიშნა, მართლაც რომ ინტერნაციონალური მოვალეობა ის არის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყონ ქვეყნის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაით.

ამ საპატიო ამოცანის რეალიზაციისათვის რესპუბლიკაში ყველა პირობაა, შექმნილია საჭირო წინამძღვრები. ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის, მეჩაიეთა საჭირბოროტო საკითხებისადმი მუდმივი ყურადღების მოხმენით მეჩაიეობის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით სულ უფრო მეტ ტექნიკას, სასუქებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს იღებენ. იზრდება აგრეთვე დადამმუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები. პრაქტიკულად ფართოდ ხორციელდება მეჩაიეთა მატერიალური და მორალური სტიმულირების, ამ დარგის მეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი.

რესპუბლიკაში, სადაც მეჩაიეობა იქმნებოდა შედარებით მძიმე, სპეციფიკურ პირობებში, ამიტომაც შემუშავებულია ჩაის კულტურის ბოვლა-მოყვანის მწყობრი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, აღიზარდნენ მეჩაიე ნოვატორთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც დამსახურებული ალიარებით სარგებლობენ, შინიჭებული აქვთ მთავრობის მაღალი ჯილდოები. მათ შორის არის სოციალისტური შრომის გმირთა მთელი პლეადა. რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეჩაიეობის საბჭოთა სკოლის შექმნაში.

სწორედ ამან განაპირობა, რომ რესპუბლიკა წარმატებით ასრულებდა ჩაის წარმოებისა და დამზადების გეგმებს და მაღალ ვალდებულებებს მრავალი წლის განმავლობაში, მათ შორის გასულ სეზონშიც.

შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და ხახელმწიფოს მიჰყიდეს 276,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 37,4 ათასი ტონით მეტია საგეგმო დავალებაზე და 6,4 ათასი ტონით აღემატება ნაკლარ ვალდებულებას. რესპუბლიკაში პლანტაციების საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა დაახლოებით 5 ათასი კილოგრამი. ქობულეთის რაიონში კი მიღწეულია რეკორდული მოსავლიანობა — 6.235 კილოგრამი ჰექტარზე საშუალოდ რაიონში.

ნედლეულის საერთო რაოდენობიდან მექანიზებულ კრეფაზე მოდის 26.800 ტონა, რაც 3.217 ტონით მეტია, ვიდრე წინა სეზონში.

ჩაის ფაბრიკებმა უზრუნველყვეს მთელი ნედლეულის მიღება და გადამუშავება და გამოუშვეს 68 ათას ტონაზე მეტი მზა პროდუქცია.

ამრიგად, წარმატებანი მეცარე როდია. მაგრამ, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, ახლა საჭიროა კრიტიკული თვალით შევაფასოთ წარსული, პროფესიული პოზიციებიდან გამოვიკვლიოთ ის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები მეჩაიეობაში, რომლებიც, საერთო კარგი მაჩვენებლების მიუხედავად, ჯერ კიდევ უარყოფით გავლენას ახდენენ ჩვენი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ამ უძნელესი დარგის განვითარებაზე.

მეჩაიეობის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არ შეუსრულებია ჩაის ფოთლის დამზადების გეგმები, რომ აღარაფერი ვთქვათ ვალდებულებებზე. თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანები, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ უთმობდნენ თვითეული მეურნეობის პრაქტიკული საქმიანობისადმი ოპერატიულ, მაღალკვალიფიციური, ყოველდღიური ხელმძღვანელობის, მათ მიერ გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისადმი ჯეროვანი კონტროლის უზრუნველყოფის საკითხებს. ეს დასტურებს ისიც, რომ შარშინდელ მეურნეობათა ხელმძღვანელები სერიოზულად აღიარებენ საჭიმწოფო დისციპლინას, რიგაც ცხადყოფენ, რომ საქმიანად და პროფესიულად მოუმზადებელნი არიან. ეს ნიშნავს იმასაც, აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები მთლიანად ვერ იყენებენ მასების მობილიზაციის დიდ შესაძლებლობებს მათ წინაშე დასახული აქტიური ამოცანების გადასაწყვეტად, სუსტად, ან სრულიად არ უწევენ კონტროლს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა საქმიანობას, ვერ ზრდიან კომუნისტებსა და სოფლის ყველა მშრომელს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ვერ ქმნიან ისეთ ნამდვილად საქმიან ატმოსფეროს, რომელიც დამყარებული იქნება კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე.

ყოველივე ეს მთლიანად. ეხება ჩაის ფაბრიკების მუშაობასაც. თათბირზე დაასახელეს საწარმოები, რომლებმაც განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს შარშან. ეს არის ენგურის, ზედა ეწრის, მუხიანტაეის, ქობულეთის № 2, ჩაქვის № 1, ლიხაურის, ნასაკირალის, ჩოხატაურის № 1 და № 3, შრომის ჩაის ფაბრიკები მათი საქმიანობის ანალიზი მოწმობს, რომ მათ ჩამორჩენის არავითარი მიზეზი არა ჰქონიათ. იმის გარდა, რომ უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა.

როგორც თათბირზე აღინიშნა, თუ ყველა მეურნეობა, ბრიგადა და რგოლი, ყველა ფაბრიკი შეასრულებს გეგმასა და ვალდებულებებს, ეს საშუალებას მოგვცემს ჩაის წარმოება რესპუბლიკაში გავადიდოთ განსაკუთრებული დამატებითი ხარჯების გაუწევლად. ამიტომ, ახალი სეზონის წინ, თათბირზე მთელი სიმტკიცით აღინიშნა, რომ

ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ **რა ჩვენი ქვეყნის ხიბლნი მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ XXIV კონგრესის დირექტივებით, მეჩაიენი ყველანაკ გადიდებენ ჩაის ფოთლის წარმოებას.**

როგორც ცნობილია, ქართველი მეჩაიეებიც არ ჩამორჩენილან ხალხთაა-სახალხო მოძრაობას და გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო-პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ხუთწლედის მესამე წლის დამკვრელურად შრომის შესახებ. მათ აიღეს მაღალი ვალდებულებანი. რომ მოკრიფენ და ჩაბარებენ 280 ათას ტონა ხარისხოვან ფოთოლს — ეგეგმაზე 37 ათასი ტონით მეტს. სამამულო წარმოების ჩაით სამშობლოს უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტის დაჩქარების პატრიოტული სურვილით აღფრთოვანებულმა ზუგდიდის თათბირის მონაწილეებმა, რომლებსაც ღრმად ესმით, რომ საჭირო იქნება მთელი ძალებისა და რეზერვების დაძაბვა, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და პირობა

დადეს დამამზადონ წელს 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, თანაც კიდევ უფრო გაუმჯობესონ ქართული ჩაის ხარისხი.

ეს ძნელი მიზანია. მის მიღწევას, როგორც თათბირზე აღინიშნა, ხელს შეუწყობს საქმიანობის ჭეშმარიტად ლენინური ვითარება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალში გამართული IX პლენუმის მოთხოვნების სულისკვეთებით ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერება, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება. ეს თვითეულ კომუნისტს, ხელმძღვანელსა და სპეციალისტს, რიგითს მუშაკს, სადაც უნდა შრომობდეს იგი, ავალებს კეთილსინდისიერად, მაღალი პასუხისმგებლობისა და ღრმა დაინტერესების გრძნობით უღალვებოდეს საქმეს, უჩქარებდეს შრომისადმი ეჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულების ნიშნებს.

ჩვენ ბევრი ნაწილი გვაქვს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში. ის მაღალი რევოლუციური სულისკვეთება, აღინიშნა თათბირზე, ის რომანტიკული განწყობილება და ახალგაზრდული შემართება, რომელიც ხელმძღვანელობენ ოცდაათიან წლებში ჩვენი სახელგანთქმული მეჩაიეები და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები თამარ ყუფუნია, ტატიანა ჩხაიძე, ანთიმოზ როგავა, მიხაკო ორგაბლიძე და ბევრი სხვა, ახლა ხელიდან ხელდება, იცვლება მოწყობილობით, ფორმალიზმით სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენს ახალგაზრდობას, პლანტაციებს, მინდვრებისა და ფერმების თვითეულ მშრომელს უნდა გავიღვიძოთ შემოქმედებითი მეტოქეობის სულისკვეთება, რათა საუკეთესოთა მაგალითს ბაძავდნენ დანარჩენნი. საჭიროა შეიქმნას უსაქმურობისა და მეკონარეობის, გამცდენებისა და შრომის ორობის, ფეხბურთელობის წინააღმდეგ, სპეციალურები, წამგლეჯებისა და კონუნიზმის მშენებელი სამოთა ადამიანის სხვა ანტიპოდების წინააღმდეგ შეურიგებლობის ატმოსფერო.

მაღალი მიზანი დაისახეს მეჩაიეებმა. თათბირზე მიმდინარეობდა საქმიანი საუბარი იმის შესახებ, რომ გამონახონ ამ მიზნის მიღწევის გზები და ხერხები, რომ ამოიქმედონ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე რესპუბლიკაში მან შეადგინა 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაგრამ, როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, ჩვენ ვერ დაკმაყოფილებით მიღწეულს, უნდა ვესწრაფოდეთ ახალ მაჯნებს, ახალ მიღწევებს, მთელმა რიგმა მოწინავე მეურნეობებმა დიდი ხანია ბევრად გადაჭარბეს საშუალო მაჩვენებლებს. ასე რომ არიან ისეთები, რომლებისგანაც უნდა ვისწავლოთ. თვითეული ჩაისმწარმოებელი რაიონში გვაქვს ერთი ან რამდენიმე მეურნეობა, რომლებიც საჩვენებელი არიან პლანტაციათა მოსავლიანობით.

თათბირზე დაასახელეს ასეთი მეურნეობანი. ეს არის **ზუგდიდის რაიონის ხოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“, სადაც საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობამ შეადგინა 7.500 კილოგრამი. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 7.257 კილოგრამი ნედლეული. გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობამ მეჩაიეებმა 7.077 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს საშუალოდ ჰექტარზე.** რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს. სპეციალიზებული ტრესტის 55 მეურნეობიდან 23 მეურნეობანი ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა აღემატება 5.000 კილოგრამს.

ჩაის პლანტაციებს მოსავლიანობის მდგომარეობის ანალიზი (კოლკეული რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გვიჩვენებს, რომ რეზერვები აქ ჭეშმარიტად დაუშრეტელია. მათი გაკრძოს ეკლა, გამოუყენებლობა ჩვენი უყაირათობის დამადასტურებელი იქნებოდა, განაცხადეს თათბირის მონაწილეებმა. ჩაის ბუჩქის მოსავლიანობაში ძალიან დიდი განსხვავებაა. ერთი და იგივე რაიონის, ერთი და იგივე მეურნეობის ფარგლებში. მაგალითად, ონჩამირის რაიონში სოფელ ‘ოგუბერდის „კოლმეურნეობამ „აფსნი ყაპშმა“ საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 9.429 კილოგრამი ფოთოლი, სოფელ წარჩხის ეშბას სახელობის კოლმეურნეობამ — 7.809 კილოგრამი, სოფელ არაკიჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ — სულ 1.456 კილოგრამი, სოფელ ანიუბჟის ლენინელიძის სახელობის კოლმეურნეობამ — 2.140 კილოგრამი ჰექტარზე. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს საცდელი სადგურის პლანტაციებში ბუჩქების მოსავლიანობა ნაკლებია, ვიდრე მეზობელ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე.

რა თქმა უნდა, აღნიშნეს თათბირზე გამოსულებმა, ზოგჯერ მოსავლიანობის მაჩვენებლებზე გავლენას ახდენენ ნიადაგ-კლიმატური პირობები. მორწყვა და სხვა, მაგრამ თავადვია მაინც ადამიანები, შრომისადმი დამოკიდებულება, ღმის ენერი და სურვილი, რომ ბოლომდე შეასრულონ დასახული ამოცანები. ამის თვალსაჩინო მაგალითად ამტკიცებენ შრომითის მოწინავენი და მეთაურები, რომლებიც არ უშინდებიან სიძნელეებს და შეუძლიათ პირადი მაგალითით დარაზმონ ადამიანები, გაიყოლიონ ისინი, ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, გამართულება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, განყოფილების გამგეს, ბრიგადირს, მერგოლურს, რომელიც დაიკავა გარეშე მეურნეობის პოზიცია, და, არსებითად, ურიგდება იმას, რომ მის მეურნეობასა თუ ქვეანაყოფში პლანტაციათა მოსავლიანობა უფრო დაბალია, ვიდრე სამეზობლო რაიონში, რესპუბლიკაში.

როცა საქმე ეხება იმას, რომ ესა თუ ის კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ვერ ასრულებს ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმას, აქვს პლანტაციათა მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელი, ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ადამიანთ დამოკიდებულებას პლანტაციათა დამუშავების აგროტექნიკური ღონისძიებების მთელი კომპლექსის განხორციელებისადმი, სასუქების შეტანის, ჩაის ბუჩქების გასხვლის. ძირნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის, ფრენეტების, სარწყავი სისტემის ჯეროვანი მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებისადმი და სხვ.

ყველას, ვისაც კი რაიმე ეკისრა ჩაის მოვლა-მოყვანის პრობლემასთან. მშვენიერად ესმის, რომ აღნიშნული ღონისძიებათა მთელი მოცულობით განხორციელება საეალდებულოა. თუ ვინმეა მიაღწიო უხვ მოსავალს. ერთი შეხედვით, არც ღირდა ამის შესხენება, მაგრამ რა გამოდის პრაქტიკულად? გარკვეული რაიონები, მეურნეობები, ხშირად ერთი და იგივე მეურნეობები, ყოველწლიურად ეგვიანებენ, ჭიანურებენ ერთსა და იმავე სამუშაოს შესრულებას, ან უხარისხოდ ასრულებენ. ამის შედეგად უხვად ინოვანა აგროტექნიკა.

საქმისადმი ასეთი მეშოფარებელი დამოკიდებულება, აღინიშნა თათბირზე, დღესაც გვხვდება. მაგალითად, მარტის შუა რიცხვებში განხორციელებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ ზედა ეწრის, ეფდიდარის, ახალსენაკის, დიდი ჯოლის, ოქვანოსა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში აგროტექნიკური ღონისძიებანთა ფიდი დარღვევები ბიბავენ პლანტაციებს, შეიქმნა მინერალური სასუქები, წმენდენ და აღრმავებენ საღრენაჟო თხრილებს, აწარმოებენ ბუჩქების შპალერულ, ძმიმე და ნახევრად ძმიმე გასხვლას.

ანალოგიური მდგომარეობაა ჩოხატაურის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ვანეკაროის, ფოლოკიძის. ზოგიერთი სხვა რაიონისა და აფხაზეთის ასევ კოლმეურნეობებშიც.

რით შეიძლიათ გამართლონ, დაისვა თათბირზე საკითხი, ვეგეტარიანი რაიონის სოფელ ნაგვიბაბოს ან ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბეშის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ეს, რომ პირველ მათგანში 7 ჰექტარი, მეორეში ეი 9 ჰექტარი პლანტაცია მოიკვლელობის გამო მიგდებულია და არ იძლევა მოსავალს?

დრო, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, მკაცრად მოითხოვოთ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ერთხელ და სამუდამოდ მოიღონ ბოლო ლიბერალურ, გულგრილ დამოკიდებულებას დაუდეგარი ხელმძღვანელებისადმი. დეე ჩაის

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲕᲔ.



„ᲚᲣᲜᲘᲮᲝᲓ-2“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲣᲢᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲑᲐᲨᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 10 აპრილი. (საკდესი). ლემონიეს კრატერის სამხრეთ ნაწილში, სადაც ღამე გაატარა საბჭოთა „ლუნოხოდ-2“ თვითმავალმა აპარატმა, დადგა დილა. მზის გადამწოდის ხიგნალზე ავტომატურ ლაბორატორიაში გაიხსნა მზის ბატარეის პანელი და ჩაირთო რადიომიმღები.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარეგავლის ყველა სისტემა და აგრეგატი მესამე მთვარის ღამის შემდეგ ნორმალურად მუშაობს. ხელსაწყოთა კონტეინერს შიგნით ტემპერატურა ცელსიუსით პლუს 18 გრადუსია. წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 775 მილიმეტრი.

თვითმავალ აპარატთან კავშირის ხეანსის დროს, რომელიც 9 აპრილს გაიმართა, მოეწყო კოსმოსური სხივების მახასიათებელთა კვლევა, მაგნიტური გაზომვები და დგომის რაიონში გარეშეს პანორამის გადაღება.

მეცნიერული კვლევა ლემონიეს კრატერში გრძელდება.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

1. რაიონული დაქვემდებარების ქ. გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ;

2. გაგრის რაიონის გაუქმებისა და მასში შემავალი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების გაგრის საქალაქო საბჭოსადმი ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ;

3. ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე გაგრის რაიონული და გაგრის საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოს დეპუტატთა რწმუნების შენარჩუნების შესახებ გაგრის საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲙᲝᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1973 წლის 5 აპრილი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

1. ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნას ახალი რაიონი და ეწოდოს მას საქარხნო რაიონი.

2. დადგინდეს საქარხნო რაიონის ტერიტორია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საზღვრების ფარგლებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲙᲝᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1973 წლის 10 აპრილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დიდი ჩაისათვის!

სამშობლოს მივცეთ 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ასე გადაწყვიტა მეჩაიეთა რესპუბლიკურმა თათბირმა

(დასასრული)

მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის უხეშად დარღვევის თვითეული, ფაქტი გადდის მწვავე კრიტიკის, შესაბამისი რეკომენდაციები საგანი. დამნაშავენი უნდა დასაჯონ. მხოლოდ ასეთი პრინციპული დამოკიდებულებით შეიძლებთ დავამყაროთ სახელმწიფო წესრიგი ამ საქმეში. და მავალწოვით ყველა დადგენილი მოთხოვნის უმკაცრეს დაცვას, ამოცანა ეს არის, და ეს შეუძლიათ ჩვენს მეჩაიეებს, რომ თვითეული ჰექტარი მუშაობდეს სრული დატვირთვით და უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ მოკრეფას.

თათბირზე აღინიშნა, რომ ნაკლებად იყენებენ პლანტაციათა მოსავლიანობის გადიდების ისეთ რეზერვებს, როგორიც არის ჩაის სელექციური ჯიშების დანერგვა, პროფესორ გ. კოლეთიანის მეთოდით ამორტიანი სასუქების შეტანის ახალი წესი, მორწყვა დაწვიმების მეთოდით და სხვ. ხშირად მოსავლიანობის შემცირებას იწვევს მეჩაიეობაში შრომისა და წარმოების ცუდად მოფიქრებული ორგანიზაცია. მაგალითად, დაისვა საკითხები, რომ ჩაის პლანტაციები მიამაგრონ არა კოლმეურნეობათა ცალკეულ მეჩაიეებს, არამედ ბრიგადებსა და რგოლებს. როგორც ეს არის აჭარის ზოგიერთ მეურნეობაში; რომ მოაწყონ მამლები პუნქტები, თუნდაც პრიმიტიული ფარფლებები ყველა მეურნეობაში, რადგან იძულებულნი არიან ძვირფასი ჩაი დაიკარგოს პირდაპირ მიწაზე, მინდორსაცავი ზოლების ჩრდილში, როგორც ხდება ეს. მაგალითად, წალენჯიხის დიდ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში; რომ შეიფიფრხელად გადაზიდონ შედეგეული ფაბრიკებში და სხვ. დაისვა აგრეთვე მეჩაიეობაში აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა შექმნის საკითხი.

ნომერ პირველი პრობლემა შეიძლება ეწოდოს ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციას. ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პლანტაციათა მდგომარეობა. ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, კოლხეთის დაბლობზე განლაგებული ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის პლანტაციათა სიმეჩხერე თითქმის 15-20 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით დიდია იგი ხუმელეჩეურის, ჯინდოლის, ზიდა ეწრის, ვედიდკარის, ბიბოლის, გიჯეთის, კოლეხეთის, მარტოლის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

პლანტაციათა სიმეჩხერე მეჩაიეთა უბრალოდ მტერია და მასთან ბრძოლა ჩაის კულტურის მოსავლიანობის გადიდების უტყუარი გზაა. სიმეჩხერის გამო, აღინიშნა თათბირზე, საბჭოთა მეურნეობების პლანტაციათა ფაქტიური ფართობიდან ამოღებულია 1.100 ჰექტარი. ეს კი ნიშნავს, რომ იკარგება სულ ცოტა 4 ათასი ტონა ფოთოლი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს აკლდება მილიონი მანეთი.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე კოლმეურნეობებში. ორატორები თათბირზე ამტკიცებდნენ, რომ რესპუბლიკაში არ არის ისეთი მეჩაიეობის კოლმეურნეობა, სადაც პლანტაციები ასე თუ ისე არ იყოს გამეჩხერებული. ზოგიერთ მეურნეობაში კი, როგორიც არის, მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კოლმეურნეობა, ცალკეული ნაკვეთებში სიმეჩხერე 25-30 პროცენტს აღწევს, რამდენ ნედლეულს აკლებს გადამამუშავებელ მრეწველობის რესპუბლიკის 508 მეჩაიეობის კოლმეურნეობა, როგორ მნიშვნელოვნად ზარალდება ამ მეურნეობათა ეკონომიკა მარტო ნარგავთა სიმეჩხერის გამო!

ჩაის პლანტაციების სიმეჩხერის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 1 თებერვლის დადგენილების შემდეგ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა შესრულდა. ეს აღინიშნა თათბირზე. მეურნეობებში აშენებენ სანერგეებს, არომონტებენ გამეჩხერებულ პლანტაციებს. ეს მუშაობა უკვე შესრულდა 400 ჰექტარზე. მაგრამ დედანადგურების მოთხოვნები გვიკარნახებენ, რომ საჭიროა მკვეთრად გავაძლიერთ აღდგენით სამუშაოების ტემპი და გავუმჯობესოთ ხარისხი.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ძალიან ცუდად არის საქმე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. ამ კატეგორიის მეურნეობებში შეიკრიბეს ან სრულიად არ განუხორციელებიათ ჩაის პლანტაციების ინვენტარიზაცია, არ არის განსაზღვრული გაშენებისათვის საჭირო ნერგების რაოდენობა, მთლიანად არ შესრულებულა სანერგეთა შექმნის ღონისძიებანი.

ამას მეევრმეტეველურად მოწმობს ჩოხატაურის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შემოწმების შედეგები. დასკვნა სავსებით ნათელი და დასაბუთებულია: აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები თქმეტიურად არც კი შესდგომიან დადგენილების შესრულებას, რითაც დაარღვიეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ელემენტარული მოთხოვნები. თათბირმა მოითხოვა, რომ ეს საკითხი ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა განიხილონ მთელი პრინციპულობით და მკაცრად დასაჯონ კონკრეტული დამნაშავენი. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეულ კომეწინატს, სოფლის მეურნეობის მუშაკს ესმოდეს, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ეს საკითხი, და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მის გადაწყვეტას. მხოლოდ ასე შეიძლებთ გადაეჭრათ ეს პრობლემა, რომელიც ეფუძნებს მეჩაიეობის განვითარებას.

ნარგავთა სიმეჩხრის სათაგეები, ბევრ შემთხვევაში, ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების მოძენტიდან უნდა ვეძებოთ. ამ სამუშაოს უხარისხოდ შესრულება იწვევს ბუჩქების, ცალკეული ნაკვეთების წახდენას, და, მაშასადამე, პლანტაციების სიმეჩხერეს. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეიფასოთ ახალი პლანტაციების გაშენების ღონისძიებათა შედეგები. მაგრამ მდგომარეობის ისიც ართულებს, რომ ბევრი მეურნეობა საერთოდ ვერ ასრულებს გეგმებს. მაგალითად, 1972 წელს ფუხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა საგეგმო დავალებთ გათვალისწინებული 100 ჰექტარის ნაცვლად გააშენეს 65 ჰექტარი. რესპუბლიკის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებმა კი 700 ჰექტარის ნაცვლად 300 ჰექტარი პლანტაცია გააშენეს. მართალია, ამ შემთხვევაში დამნაშავე მარტო ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი როდია, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ სახელმწიფო გეგმებისა და დადგენების უოფო შესრულებასთან ერთად, სამინისტროებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, საზოგადო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, გადამამუშავებელი ფაბრიკების ხელმძღვანელებმა მთელი მუშაობა უნდა წარმართონ ნედლეულის ხარისხის ასამაღლებლად და ამით ხელი შეუწყონ ქართული ჩაის შესანიშნავი თვისებების გაუმჯობესებას.

ამრიგად, მწვანე პლანტაციებისა და ჩაის ფაბრიკების მშრომელთა დევიზი უნდა ჟღღეს

„გავაუმჯობესოთ ქართული ჩაის ხარისხი!“

თათბირზე აღინიშნა, რომ გაიზარდა მომთხოვნელობა ჩაის ხარისხისადმი, რომ ამ საკითხში კომპრომისები არ შეიძლება იყოს. საიდუმლო არ არის, რომ ჩაის გემო, სურნელება, სამკურნალო თვისებები დამოკიდებულია ნედლეულის ხარისხზე, რომელიც ხშირად ცუდია იმის გამო, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლების ბევრი ხელმძღვანელი იჩენს უგულგრილობას, უპასუხისმგებლობას, აკლია მეურნისა და ორგანიზატორის ნიჭი.

მაგალითად, ზოგიერთ მეურნეობაში უხეშად არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს. დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, როცა ნედლეულს კრეფენ ფესვ ტალოში, მოკრეფილ მოსავალს კი გზაზეთან დატენილი ყუთებით. ყველან არ იცავენ ჩაის ფოთლის დროზე ძიტანას ფაბრიკებში, განსაკუთრებით დღის პირველ ნახევარში, და ამით ხელოვნურად ქმნიან პიკს ნედლეულის მიღება-გადამუშავებაში, რაც საბოლოო ანგარიშით აუარესებს მზა პროდუქციის ხარისხს.

თათბირზე მოიყვანეს ჩაის ხარისხის დამახასიათებელი ციფრები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ჩაის ფაბრიკებისათვის უნდა ჩაებარებინათ 193,4 ათასი ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი. ფაქტიურად კი პირველი ხარისხისა ჩაბარდა 178,7 ათასი ტონა. მაშასადამე, პირველი ხარისხის ნედლეული დაკლდათ 14,7 ათასი ტონა. მარტო ამის შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაკლდათ 4 მილიონ 400 ათასი მანეთი.

პირველი ხარისხის ფოთლის გამოსავლიანობამ მთლიანად ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრუსტის ხაზით შეადგინა 61,2 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65,8 პროცენტისა. ამასთან ერეკ გეგმა და, მით უმეტეს, ერეკ ფაქტიური მაჩვენებელი ვერაფერით ვერ დააკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

მაგრამ ზოგიერთ მეურნეობაში მაჩვენებლები კიდევ უარესია. მაგალითად, ზიდა ეწრის საბჭოთა მეურნეობაში პირველი ხარისხით მიღებული ნედლეულის წილმა შეადგინა 48,2 პროცენტი, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში — 51,7 პროცენტი, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში — 54,2, ონარიის საბჭოთა მეურნეობაში — 55 პროცენტი, ჭიბურხანაღის საბჭოთა მეურნეობაში — 55,5 პროცენტი, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში — 57,6 პროცენტი.

ნედლეულის ხარისხის მხრივ ჩამორჩენილი ბევრია კოლმეურნეობათა შორისაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთ წამყვან მეჩაიეობის რაიონშიც, როგორიც ქობულეთის რაიონია, სოფლად კოლმეურნეობებში პირველი ხარისხის ნედლეულის მოკრეფა. ეს ასეთ ერთ-ერთ ძირითადი ამოცანა,

ნ. ვ. პოდგორნიმ ოჰტომბრის რევოლუციის ორდენი გაადასცა ანტალ აპროს

სხკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, 9 აპრილს კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარეს ანტალ აპროს. იგი დაჯილდოდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის განვითარებაში, სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში დიდი ღვაწლისათვის და დაბადების 60 წლეულთან დაკავშირებით.

ორდენის გადაცემისას ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ ამხანაგ აპროს, როგორც მუშათა კლასის, უნგრეთის ყველა მშრომელის ხაქმისათვის მეფდარ მებრძოლს. თქვენ, განაგრძო მან, ეკუთვნით იმ უნგრელ იატაკქვეშა კომუნისტთა სახელოვან პლეადას, რომლებმაც თავიანთი რევოლუციური საქმიანობა დაიწყეს პროტესტული რეჟიმის მძიმე პირობებში, ხოლო ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ სათავეში ჩაუდგნენ მშრომელი ხალხის ბრძოლას ახალი ცხოვრებისათვის. იანონ კადართან ფერენც მიუნიხთან და სხვა ამხანაგებთან ერთად თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი უნგრეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობის შექმნისა, რომელიც 1956 წლის კონტრრევოლუციური ბანდების დღეებში გამოვიდა ქვეყნის მშრომელთა მიერ შინაგანი და საერთაშორისო რეაქციის გაერთიანებული ძალების დათრგუნვის ორგანიზატორად.

პარტიული, პროფკავშირული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობის ყველა უბანზე, რომლებსაც პარტია განდობდათ, თქვენ ყოველთვის იჩენდით თავს თანმიმდევრულ ინტერნაციონალისტად, საბჭოთა და უნგრელი ხალხების ძმური მეგობრობის მომხრედ და მოამაგედ.

ნ. ვ. პოდგორნიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულთბილად მიულოცა ანტალ აპროს მაღალი ჯილდო და ესურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება, დიდი წარმატებანი საქმიანობაში, რომელსაც ეწევა სოციალისტური უნგრეთის საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ორდენის მიღებისას ანტალ აპრომ მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მისი მუშაობის დაფასებისათვის, მაღალი ჯილდოსათვის.

მინდა მადლობა გადავუხადო ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის, თქვა მან, გულთბილი სიტყვებისათვის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის განვითარების, აგრეთვე ამ მუშაობაში ჩემი პირადი როლის შესახებ. უნგრელი კომუნისტები, მათი ძარცია მუდამ ისწრაფოდნენ საბჭოთა და უნგრელი ხალხების, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეგობრობის განმტკიცებას. ეს ჯილდო ეკუთვნის ყველას. ვინც იღვწის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის განმტკიცებისათვის, ეკუთვნის უნგრეთის მთელ მშრომელ ხალხს. მთელ ჩვენს პარტიას. მინდა კიდევ ერთხელ აღინიშნო ხაზგასმით, რომ ჩვენ განვავრცობთ სსრ კავშირთან მეგობრობის პოლიტიკას და კიდევ ერთხელ გამოვთქვა მადლობა ჩემი დამსახურების ასეთი დაფასებისათვის. (სკკდესი).

დარბაზობა ნ. ვ. პოდგორნისთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 10 აპრილს კრემლში მიიღო სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში აჰმედ მოჰამედ ალენი.

მეგობრულ ვითარებაში ჩავლილი საუბრის დროს მხარეები შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და სომალიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

(სკკდესი).

ვიზიტები, მოლაპარაკება

9 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრმა ლ. ა. კოსტანდოვმა მიიღეს მოსკოვში მყოფი ამერიკის კომპანია „ოქსიდენტალ პეტროლეუმ კორპორეიშენის“ პრეზიდენტი არმანდ ჰამერი. განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის საქმიანი თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე ამ კომპანიასთან საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის საქმიანი კავშირურთიერთობის საკითხები.

(სკკდესი).

ავსტრიის პარლამენტარები სოხუმში

სოხუმი, 10 აპრილი. (საქინფორმი). სოხუმს ეწვია ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ა. ბენია. დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

ავსტრიის პარლამენტარები ესაუბრნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ვ. შინკუბას. მან სტუმრებს გააცნო უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ბ. რაკოვსკი, რომელიც დელეგაციას ახლავს ქვეყანაში მოგზაურობის დროს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვ. დავითაია, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს სოხუმის ღირსშესანიშნაობანი, დაესწრნენ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს.

სტუმრებს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაუმართა სადილი.

ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია გაემგზავრა სოჭში.

მოწმობა

ანტანანა ფალეევი პარიზის შეთანხმებას

ხანმძრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის პრეს-კონფერენცია

10 აპრილი. (საკდესი). განთავისუფლების პრესის სააგენტომ დღეს გამოაცხადა, რომ საიგონში, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამხედრო დელეგაციის შენობაში, 7 აპრილს გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოვიდა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელი პოდპოლკოვნიკი დინგ დინ თხაო. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საიგონის ადმინისტრაცია სისტემატურად არღვევს პარიზის შეთანხმების და. დასახელა ადგილები, სადაც საიგონის არმია (ჯილოობს შეიტაოს იმ რაიონებს, რომლებსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა, ხანგრძლივი და მტკიცე მზეიოობის დასამყარებლად.

ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი

10 აპრილი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკამ, სირიამ და იორდანიამ გამოაქვეყნეს ერთობლივი მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ფრიად სერიოზული სიტუაცია იქმნება.

თავიანთი მთავრობების დავალებით ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მის ყურადღებას მიაპყრობენ ცნობებს, რომ ისრაელის მთავრობა აპირებს ნება დართოს ისრაელის მოქალაქეებს შეიძინონ მიწები ოკუპირებულ ტერიტორიებზე. წერილში ნათქვამია, რომ ეს გეგმები ჭეშიდროდ არის დაკავშირებული ისრაელის საერთო პოლიტიკასთან, რომლის მიზანია მიტაცებული მიწების საბოლოოდ შეერთება ისრაელთან.

ოკუპირებული ტერიტორიების შთანთქმის პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, ნათქვამია წერილში. ეს მეთოდებია ისრაელის დასახლებათა შექმნა ოკუპირებულ მიწებზე, არაბი მოსახლეობის მასობრივი განდევნა, ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკის დაჩქარებული ინტეგრაცია ისრაელის ეკონომიკასთან.

ეს პოლიტიკა ხორციელდება ყველა ოკუპირებულ ტერიტორიაზე: მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, გოლანის მაღლობების რაიონში და სინის ნახევარკუნძულზე. ექსპანსიონისტური პოლიტიკის ტიპიური გამოვლინებაა იერუსალიმის არაბული ნაწილის შთანთქმა.

დელი

სიკიმის ამბები

10 აპრილი. (საკდესის კორ.). ინდოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ჰაბარა მთის სამთავროს სიკიმის ამბებს. ეს სამთავრო მდებარეობს აღმოსავლეთ ჰიმალაიში და ესაზღვრება ინდოეთს, ნეპალსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტიბეტის ავტონომიურ რაიონს. სიკიმის დედაქალაქ განგტოკიდან მიღებული ცნობებით, ორმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიამ — სიკიმის ეროვნულმა კონგრესმა და „ჯანტა კონგრესმა“ ამ ბოლო დღეებში გააჩაღეს აგიტაცია პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმათა განსახორციელების ლოზუნგებით. ამ გარემოებით ისარგებლეს მთავრობის საწინააღმდეგო ელემენტებმა, რომლებმაც, ფილის გაზეთ „ატამს ოფ ინდიის“ ცნობით, ხელი იგდეს პოლიციელთა საგუშაგოები ქვეყნის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში.

ინდოეთ-სიკიმის 1950 წლის ხელშეკრულების შესაბამისად სიკიმის მოსარქმა ჰ. ტ. ნამგიალმა ინდოეთის მთავრობას სთხოვა დახმარება კანონიერებისა და წესრიგის აღდგენაში. ინდოეთის მთავრობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ინდოეთის არმიის ქვეგანაყოფებმა კონტროლი დაუწესეს პოლიციელთა საგუშაგოებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტში. ინდოეთის საინფორმაციო საagენტოთა უკანასკნელი ცნობებით, ვითარება სამთავროში თანდათანობით ნორმალური ხდება.

სიკიმის სამთავრო, 1950 წლის ხელშეკრულების თანახმად, ინდოეთის პროტექტორატია. სამთავროს საგარეო პოლიტიკა, თაღდაცვა, კომუნიკაციები და ფინანსები ინდოეთის მთავრობის გამგებლობაშია. სიკიმის მთავრობა ინარჩუნებს ავტონომიას ეკონომიკასა და საშინაო პოლიტიკის დარგში. სიკიმის ეკონომიური განვითარების გეგმები სრულდება ინდოეთის ფინანსური და ეკონომიური დახმარებით.

სამთავროს ტერიტორია 7.298 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა თითქმის 180 ათას შეადგენს.

ტოკიო

პროცესი „მორინაგის“ საქმეზე

10 აპრილი. (საკდესი). ახალი სასამართლო პროცესი „მორინაგის“ კომპანიის საქმეზე დაიწყო დღეს ოსაკაში. 40 დაზარალებული მოითხოვს, რომ ამ კომპანიამ, რომელიც რძის პროდუქტებისა და საკონდიტრო ნაწარმის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია იაპონიაში, გადაიხადოს 144 მილიონი იენი კომპენსაციად ზარალისათვის, რომელიც მათმა ოჯახებმა განიცადეს რძის ფხვნილით მოწამვლის შედეგად, რომელიც დარიმასის ნარევს შეიცავდა.

პირველად „მორინაგის“ საქმე აღიძრა 18 წლის წინათ, როცა გამოირკვა, რომ ბავშვების საკვები რძის ფხვნილისაგან, რომელსაც ეს კომპანია უშვებს, სერიოზულად მოიწამლა 12 ათასზე მეტი ბავშვი. მათგან 130 გარდაიცვალა. ბევრი გადარჩენილი დღემდე დაავადებულია მოწამვლის შედეგებით. ორი წლის წინათ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით კომპანიის მფლობელები დათანხმდნენ ეკისრათ დაზარალებულთა სამკურნალო ხარჯების ნაწილი, მაგრამ უარი განაცხადეს მათთვის კომპენსაციის გადახდაზე.

ინდოეთ-ჩინეთი

ინდოეთის ოქროს ფესვი

ბომბეი, 10 აპრილი. (საკდესის). ინდოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ჰაბარა მთის სამთავროს სიკიმის ამბებს. ეს სამთავრო მდებარეობს აღმოსავლეთ ჰიმალაიში და ესაზღვრება ინდოეთს, ნეპალსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტიბეტის ავტონომიურ რაიონს. სიკიმის დედაქალაქ განგტოკიდან მიღებული ცნობებით, ორმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიამ — სიკიმის ეროვნულმა კონგრესმა და „ჯანტა კონგრესმა“ ამ ბოლო დღეებში გააჩაღეს აგიტაცია პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმათა განხორციელების ლოზუნგებით. ამ გარემოებით ისარგებლეს მთავრობის საწინააღმდეგო ელემენტებმა, რომლებმაც, ფილის გაზეთ „ატამს ოფ ინდიის“ ცნობით, ხელი იგდეს პოლიციელთა საგუშაგოები ქვეყნის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში.

ინდოეთ-სიკიმის 1950 წლის ხელშეკრულების შესაბამისად სიკიმის მოსარქმა ჰ. ტ. ნამგიალმა ინდოეთის მთავრობას სთხოვა დახმარება კანონიერებისა და წესრიგის აღდგენაში. ინდოეთის მთავრობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ინდოეთის არმიის ქვეგანაყოფებმა კონტროლი დაუწესეს პოლიციელთა საგუშაგოებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტში. ინდოეთის საინფორმაციო საagენტოთა უკანასკნელი ცნობებით, ვითარება სამთავროში თანდათანობით ნორმალური ხდება.

სიკიმის სამთავრო, 1950 წლის ხელშეკრულების თანახმად, ინდოეთის პროტექტორატია. სამთავროს საგარეო პოლიტიკა, თაღდაცვა, კომუნიკაციები და ფინანსები ინდოეთის მთავრობის გამგებლობაშია. სიკიმის მთავრობა ინარჩუნებს ავტონომიას ეკონომიკასა და საშინაო პოლიტიკის დარგში. სიკიმის ეკონომიური განვითარების გეგმები სრულდება ინდოეთის ფინანსური და ეკონომიური დახმარებით.

სამთავროს ტერიტორია 7.298 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა თითქმის 180 ათას შეადგენს.

ტოკიო

პროცესი „მორინაგის“ საქმეზე

10 აპრილი. (საკდესი). ახალი სასამართლო პროცესი „მორინაგის“ კომპანიის საქმეზე დაიწყო დღეს ოსაკაში. 40 დაზარალებული მოითხოვს, რომ ამ კომპანიამ, რომელიც რძის პროდუქტებისა და საკონდიტრო ნაწარმის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია იაპონიაში, გადაიხადოს 144 მილიონი იენი კომპენსაციად ზარალისათვის, რომელიც მათმა ოჯახებმა განიცადეს რძის ფხვნილით მოწამვლის შედეგად, რომელიც დარიმასის ნარევს შეიცავდა.

პირველად „მორინაგის“ საქმე აღიძრა 18 წლის წინათ, როცა გამოირკვა, რომ ბავშვების საკვები რძის ფხვნილისაგან, რომელსაც ეს კომპანია უშვებს, სერიოზულად მოიწამლა 12 ათასზე მეტი ბავშვი. მათგან 130 გარდაიცვალა. ბევრი გადარჩენილი დღემდე დაავადებულია მოწამვლის შედეგებით. ორი წლის წინათ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით კომპანიის მფლობელები დათანხმდნენ ეკისრათ დაზარალებულთა სამკურნალო ხარჯების ნაწილი, მაგრამ უარი განაცხადეს მათთვის კომპენსაციის გადახდაზე.

ბელგრადი

პიკრაკალა ნომრის გაავრცელება

10 აპრილი. (საკდესი). ზაგრების საოლქო სასამართლომ აკრძალა ადგილობრივი კათოლიკური გაზეთის „ბელას კონცილას“ ერთ-ერთი ნომრის გავრცელება. როგორც იუგოსლავიის გაზეთი „ვეჩერნიაკი“ იუწყება, სასამართლოს გადაწყვეტილების მიზეზი ის არის, რომ გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებულია მოელი რიგი სტატიები, რომლებიც შეიცავენ „ცილისმწამებლურ მონაკვეთს, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ქვეყნებთან იუგოსლავიის მეგობრულ ურთიერთობას“, კერძოდ, შეურაცხყოფენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიელ უურნალისტებს, იტალიის კომპარტიას, აგრეთვე ამახინჯებენ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობას.

ბერლინი

ბერლინელ ბავშვებს ეუბნებიან

ეუბნებიან, სამათხოვროდ განწირული საიგონელი ბავშვები. მათს უსიხარულო ბავშვობაზე მოგვითხრობს ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“, რომელმაც ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ამ ბიუნუან საწოლად ქვაფენილი გამოუყენებია. მის დას კი, რომელსაც ჯერ სიარულიც არ შეუძლია უფრო „მყუდრო“ ადგილი მოუნახავს... შიმშილი, სიღატაკე — ეს არის, რაც შეუძლია ხაიგონის რეჟიმს მისცეს ამ ბავშვებს.

ვაშინგტონი

სერიოზული შიში

10 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსის მოადგილის გენერალ ა. ჰეიგის ხასწრაფო გამგზავრებამ ინდოჩინეთის ზოგიერთ ქვეყანაში, კამბოჯის პატრიოტული ძალების წარმატებებთან დაკავშირებით ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში წარმოშვა სერიოზული შიში. ამის გამო რომ კამბოჯაში შეიძლება გაფართოვდეს ამერიკის შეერთებული შტატების ხამხედრო ჩარევა. აღგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, კამბოჯის პატრიოტული ძალების პოზიციების მასირებულმა დაბომბვამ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია ეწევა „ბ-52“ სტრატეგიული ბომბდამშენების მეშვეობით, ვერ განამტკიცა პნომპენის ადმინისტრაციის მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით ოუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტო იუწყება, რომ გენერალი ჰეიგი ვაშინგტონში დაბრუნებასთანავე წარუდგენს კონგრესს რეკომენდაციებს, თუ რა ეკონომიური და სამხედრო დახმარებაა საჭირო პნომპენის ახლანდელი ადმინისტრაციის, შესანარჩუნებლად. აქ აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია თვითმფრინავებით გადაატანონ ამერიკელთა სამხედრო ტექნიკა და ოფიცრებლობა ალყაშემორტყმულ პნომპენში. არც სხვა სამხედრო ხასიათის ღონისძიებებია გამორიცხული.

სენატორმა ე. კენედიმ შეშფოთება გამოთქვა კამბოჯაში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის შესაძლო გაძლიერების გამო და განაცხადა, ოფიციალური დაპირებანი ამ რაიონში ამერიკის ჩარევის შეწყვეტის თაობაზე „სულ ცოტა ნაადრევიაო“. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ოფიციალურად გამოაცხადოს ინდოჩინეთში ამერიკის ომის შეწყვეტა.

ბელგრადი

ტიტოს დასაყრდენი

ბელგრადი, 10 აპრილი. (საკდესის). ინდოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ჰაბარა მთის სამთავროს სიკიმის ამბებს. ეს სამთავრო მდებარეობს აღმოსავლეთ ჰიმალაიში და ესაზღვრება ინდოეთს, ნეპალსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტიბეტის ავტონომიურ რაიონს. სიკიმის დედაქალაქ განგტოკიდან მიღებული ცნობებით, ორმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიამ — სიკიმის ეროვნულმა კონგრესმა და „ჯანტა კონგრესმა“ ამ ბოლო დღეებში გააჩაღეს აგიტაცია პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმათა განხორციელების ლოზუნგებით. ამ გარემოებით ისარგებლეს მთავრობის საწინააღმდეგო ელემენტებმა, რომლებმაც, ფილის გაზეთ „ატამს ოფ ინდიის“ ცნობით, ხელი იგდეს პოლიციელთა საგუშაგოები ქვეყნის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში.

ინდოეთ-სიკიმის 1950 წლის ხელშეკრულების შესაბამისად სიკიმის მოსარქმა ჰ. ტ. ნამგიალმა ინდოეთის მთავრობას სთხოვა დახმარება კანონიერებისა და წესრიგის აღდგენაში. ინდოეთის მთავრობამ დაკმაყოფილა მისი თხოვნა და ინდოეთის არმიის ქვეგანაყოფებმა კონტროლი დაუწესეს პოლიციელთა საგუშაგოებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტში. ინდოეთის საინფორმაციო საagენტოთა უკანასკნელი ცნობებით, ვითარება სამთავროში თანდათანობით ნორმალური ხდება.

სიკიმის სამთავრო, 1950 წლის ხელშეკრულების თანახმად, ინდოეთის პროტექტორატია. სამთავროს საგარეო პოლიტიკა, თაღდაცვა, კომუნიკაციები და ფინანსები ინდოეთის მთავრობის გამგებლობაშია. სიკიმის მთავრობა ინარჩუნებს ავტონომიას ეკონომიკასა და საშინაო პოლიტიკის დარგში. სიკიმის ეკონომიური განვითარების გეგმები სრულდება ინდოეთის ფინანსური და ეკონომიური დახმარებით.

სამთავროს ტერიტორია 7.298 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა თითქმის 180 ათას შეადგენს.

ბერლინი

ბერლინელ ბავშვებს ეუბნებიან

ეუბნებიან, სამათხოვროდ განწირული საიგონელი ბავშვები. მათს უსიხარულო ბავშვობაზე მოგვითხრობს ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“, რომელმაც ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ამ ბიუნუან საწოლად ქვაფენილი გამოუყენებია. მის დას კი, რომელსაც ჯერ სიარულიც არ შეუძლია უფრო „მყუდრო“ ადგილი მოუნახავს... შიმშილი, სიღატაკე — ეს არის, რაც შეუძლია ხაიგონის რეჟიმს მისცეს ამ ბავშვებს.

დამსახურებული ალიარება

საქართველოს სსრ სახალხო არტისტები
მ. ჩიბავა, ე. მანჯაგლაძე, რ. ჩხეიკაძე, თეატრის თითქმის მთელი დასი, რომელიც მონაწილეობდა სცენებში დადგმებიდან. ნაჩვენები იყო აგრეთვე ნაწყვეტები ფილმებიდან, რომლებშიც გადაღებულია გიორგი გეგეჭკორი.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი
გიორგი გეგეჭკორის
შემოქმედებითი საღამო

უველა, ვინც კმ საღამოს მოვიდა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, იყო მოწმე იმ დიდი აღიარებისა და სიყვარულისა, რითაც დამსახურებულად სარგებლობს ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი გიორგი გეგეჭკორი. თეატრში, რომლის სცენაზე მსახიობმა ასამდე როლი შეასრულა, მისი შემოქმედებითი საღამო ნამდვილი ზეიმი იყო. აი უკვე 30 წელია გიორგი გეგეჭკორი მუშაობს სახელმოხვეჭილ თეატრში. სერიოზული და საზრიანი, ერუდირებული და დაკვირვებული მსახიობი მუდამ ახარებს თეატრისა და კინოს მაყურებლებს ნიჭით და ნამდვილი ოსტატობით.

გიორგი გეგეჭკორი განგრძობს და ავითარებს ქართული კლასიკური თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს, მუდამ ეძებს, არასოდეს არ მეორდება, ადვილად და თავისუფლად წვდება სახეს.

გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი საღამო ისე იყო მოფიქრებული, რომ მაყურებელს თვალი გაედევნებინა მსახიობის გარდასახვის პროცესისათვის.

...სცენაზეა გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. მის როლს ასრულებს გიორგი გეგეჭკორი. დიახ, სწორედ ამ როლმა მოიხიბლა მას სახელი.

მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს მსახიობს, რომელმაც შეასრულა თავისი საუკეთესო როლები სპექტაკლებიდან „დონ სეზარ დე ბაზანი", „ფილოსოფოსი", „დ ო ქ ტ ო რ ი", „ჰინქნორეა", „ამბავი სიყვარულისა", „მზიანი ღამე", „სამანიშვილის დედინაცვალი". გიორგი გეგეჭკორმა გვიჩვენა გარდასახვის, მაღალი პროფესიული ოსტატობისა და დაუშრეტელ შესაძლებლობათა ბრწყინვალე მაგალითი. მისი ღირსეული პარტნიორები იყვნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ჩიბავა, ე. მანჯაგლაძე, რ. ჩხეიკაძე, თეატრის თითქმის მთელი დასი, რომელიც მონაწილეობდა სცენებში დადგმებიდან. ნაჩვენები იყო აგრეთვე ნაწყვეტები ფილმებიდან, რომლებშიც გადაღებულია გიორგი გეგეჭკორი.

მომხსენებელმა, ხელოვნებათმცოდნე ნ. გურაბანიძემ შეკრებილთ მოუთხრო გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი გზაზე. იუბილარ მსახიობს დაბადების 50 წლისთავის დღეს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ახოთაძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ს. დოლიძე, რესპუბლიკის თეატრების წარმომადგენლები.

მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა ჯგუფმა საინტერესოდ მოფიქრებულ დადგმაში იუბილარი „აიძულა" ეთამაშა ურიელ აკოსტას როლი. შესახსენებელი მსახიობებს კ. მახარაძის, ს. ჭიაურელის, ტ. საყვარელიძის, მ. თბილელის, ვ. ნინუას, ი. ტრიპოლსკისა და სხვათა ანსამბლში ახლებურად აელვარდა გიორგი გეგეჭკორის ბრწყინვალე ნიჭი. მაყურებელთა ტაში ამ თავისებური და მრავალმხრივი მსახიობის ოსტატობის დამსახურებული აღიარება იყო.

საღამო მიჰყავდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ბ. კობახიძეს. (საქინფორმი).

სურათზე: თბილისის ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობები ესლმეტიან იუბილარს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გიორგი გეგეჭკორს.

ფოტო ვლ. ბინზუბურგის ფოტო.

ქართველი მეცნიერის დაფასება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე არჩეულია პოლონეთის არქეოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად.

პოლონეთის მთავარმა არქეოლოგიურმა ჟურნალმა „არქეოლოგიამ" 1967 და 1969 წლებში ინგლისურ და პოლონურ ენებზე გამოაქვეყნა ოთარ ლორთქიფანიძის სტატიები — „საქართველოში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული კულტურის ძეგლები" და „ადრეანტიკური ხანის კოლხეთი და მისი ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან". ახლახან პოლონელი არქეოლოგის კაზიმერ მაევსკისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა პოლონელი არქეოლოგების მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ნაწილი ო. ლორთქიფანიძის შრომიდან „ვანის ნაქალაქარი" (კრებული ვანი, I).

საქართველოს ფეია-ბარში

ტყის მეგობართა დიდი გარჯა

დუშეთი. (საკ. კორ.). დიდ და კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდეს ხელი დუშელმა ტყის მეგობრებმა, მათი მარჯვენით მარადმწვანე მცენარეებით უნდა შეიმოსოს ათობით ჰექტარი ფართობი. უკვე მესამე შაბათ-კვირაა, რაც ათასობით მშრომელი აქტიურად და ხალისით მონაწილეობს ქალაქის შემოგარენის გამწვანებაში, შეიძლება ითქვას, რომ შაბათობათა ამდენი მონაწილე არ ახსოვს დუშეთს.

ეგრეთწოდებულ წინდუშეთში, რომელიც 12 ჰექტარზეა გადაჭიმული, შეიქმნება ტყის პარკი, რომელშიც 120 ათასი ორწლიანი შავი ფიჭვი დაირგვება. ორი დღის მანძილზე 470 ათასი ორმო იქნა ამოღებული.

ახალი მცენარეულით იმოსება აგრეთვე დუშეთ-ბაზალეთის ტბისა და დუშეთ-მჭადიჯვრის გზების მიდამოები, უკვე ამ ადგილებში დაირგო 10 ათასამდე ნაყოფისმომცემი მცენარე.

მწვანე მასივების გაშენებაში კვლავ ნაყოფიერად იშრომეს ქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, სკოლა-ინტერნატის მთელმა კოლექტივმა, კავშირგაბმულობის რაიკვანძის, საქმთაგარნერგოს თბილისის ელექტროქსელის, სოციუზრუნველყოფის, სახანძრო რაზმის, სახლთაზღვევის, სახელმწიფო ბანკის, საინკუბატორო საფრერის, რაიაღრიცხვის და სხვა დაწესებულებათა მუშაკებმა.

განსაკუთრებული ქების ღირსია რუსული საშუალო სკოლის, სამშენებლო-სამონტაჟო უბნის, თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის" დუშეთის ფილიალის, საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანების მუშაკთა ნაყოფიერი შრომა.

მომავალ შაბათ-კვირას მცენარეთა დარგვა-გაშენება დამთავრდება.

ფეხვეიდრა ვეტერანთა

ტყიბული. შ. რუსთაველის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კუთვნილ მოეწყო ტყიბულელ ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეთნოგრაფთან, თადარიგის გენერალ-მაიორ გ. ყურაშვილთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა ნ. ვახტანგაძემ. პიონერ-მოსწავლეებმა ძვირფასი სტუმარი ხალეტიო პიონერად აირჩიეს.

საინტერესო მოგონებით გამოვიდა გ. ყურაშვილი, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო სამამულო ომში ქართველ მებრძოლთა გმირობაზე.

ლ. არსენიძე.

მწერლები ხვდებიან მკითხველებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირისა და „საქწიგნის" ქუთაისის განყოფილებებმა ქალაქის წიგნის მაღაზიებში შეხვედრა მოუწყეს მკითხველებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მწერლები. დ. ძიციკარიძე, ა. გურჯიძე, ს. ფხაკაძე, ლ. სანიკიძე, ს. არველაძე, დ. ხუროძე, ზ. კუხიანიძე, ლ. ნუცუბიძე და სხვები.



11 აპრილი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად: გეოგრაფია (მეხუთეკლასელთათვის — ჰავის დამოკიდებულება ადგილის განედზე), 11.25 — კინოპროგრამა, 12.10 — სკოლების დასახმარებლად: გეოგრაფია (მეხუთეკლასელთათვის — ჰავის დამოკიდებულება ადგილის განედზე) გამეორებით, 17.05 — მოსწავლეთა დასახმარებლად: ფიზიკა (მეცხრეკლასელთათვის — ამოცანების ამოხსნა ელექტრობიდან), 17.45 — კინონარკვევი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად", 18.30 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში. გფრ-ჩეხოსლოვაკია. მესამე პერიოდი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — „მოწონაგე გამოცდილების სკოლა", 19.30—ა. ნ. ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია მოსკოვიდან, 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „კანონი და კანონიერება", 21.10 — „ჩონგური", 21.40 — „ლევან ცუცქირიძე", 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კინონარკვევი, 23.00 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-პოლონეთი. მესამე პერიოდი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.15 სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა (რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის. ამოცანების ამოხსნა), 19.00 — განცხადებები. 19.05 — ლექცია სტუდენტთა დასახმარებლად ნაზვაში, 20.05 — „კინოაფიშა", 20.30 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი — „ტრბი" (მეორე სერია).



11 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06,20 ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06,50 — „სოფლის დილა", 07,30 — დილის კონცერტი, 08,00 — „ბაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რუსუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — სიმღერები ე. გვაზავასა და ც. ციცქიშვილის შესრულებით, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „მხატვრის ალბომი" 11.05 — ა. მაჭავარიანი. კამერული ნაწარმოებები, 11.45 — „მწერალი მიკროფონთან", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „ბაზეთ „პრავდის" მოწონავე სტატია, 13.40 — ვ. აზარაშვილი. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 14.00 — ჟ. მასნე. ოპერა „ვერტერი", 16.15 — ჰ. ჩაიკოვსკი. მეოთხე სიმფონია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისთვის. ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა", 18.10 — ა. ბუკია. ნაწყვეტები ოპერიდან „ყვავი ეფიანოვ სამყაროში", 18.45 — ა. ნოვიკოვი. სიმღერები, 19.00 — საუბარი „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება", 19.15 — ი. ტუსკია. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ბაზალეთის ტბა", 19.30 — საზეიმო სხდომა და კონცერტი, მიძღვნილი ა. ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავისადმი. ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი თეატრიდან, 23.30 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



11 აპრილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შამთა სიავე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ძორწილი.



ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით გაუქმდა სოფელი სოღანლუღი ქ. თბილისის კიროვის რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო. ამასთან დაკავშირებით გაუქმებულ იქნა სოღანლუღის სასოფლო საბჭო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ახალგაზრდა პიანისტი რუსეთან გავაშველი

ვაშინ რუსეთან გავაშველი შვიდი წლისა იყო, როდესაც აფიშები იუწყებოდნენ: მესამე მუსიკალური სკოლის მეორე კლასის მოსწავლე. უკრავს ჰაიდნის საფორტეპიანო კონცერტს (№ 3) სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. იმ დროს მისი პედაგოგი **ლ. ხირსელი** იყო.

მას შემდეგ თბილისის მუსიკალური საზოგადოება ინტერესით ადევნებს თვალს ნიჭიერი მუსიკოსის შემოქმედებითს ზრდას. იგი სისტემატიურად მონაწილეობს ღია აკადემიურ, საკლასო თუ სოლო კონცერტებში, და ყოველთვის შესამჩნევია მისი კარგი გემოვნება, ტექნიკური დახვეწილობა. რუსეთან ადრე ოსტატობას იმაღლებდა ისეთ შესანიშნავ პედაგოგთან, როგორიც არის პროფესორი ვ. შოიკაშვილი, ხოლო ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში გაიმართა შუმანის საერთაშორისო კონკურსისადმი მიძღვნილი შესარჩევი საკავშირო ტურნირი. სადაც ეიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ ამ საპატიო კონკურსის ლაურეატი ელისო ვირსალაძე. აქ რუსეთან გავაშველმა შეასრულა შუმანის 4 ნოველეტა, რითაც ელისოს დიდი მოწონება დაიმსახურა.

მას შემდეგ რუსეთანი ელისო ვირსალაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ოსტატობას.

მის ნიჭიერებაზე მეტყველებს ამ დღეებში თბილისში საქართველოს სახელმწიფო თოლარმონიის მკირე დარბაზში გამართული სოლო კონცერტი, რომლის პროგრამა მეტად რთული და მრავალფეროვანი იყო და თაყვანდნენ ბანაწყო მსმენელნი ინტერესითა და ყურადღებით.

პიანისტმა გაგაზრებით, მთელი სისავსით, კომპოზიტორის ჩანაფიქრის მართებული ინტერპრეტაციით გახსნა მოცარტისა და ბეთჰოვენის სონატების ხასიათი და მთელი სიღრმით მიიტანა მსმენელამდე კლასიკოსთა მდიდარი ჰარმონიული ქსოვილის მომზხიბლაობა.

ყურადღებას იპყრობდა შუმანის ნოველეტები თავიანთი დინამიკური ემოციურობით და პოეტური სინატიფით. რუსეთან გავაშველის შესრულებაში განსაკუთრებული სიმკვეთრით შეიგრძნობა რომანტიკული სწყურვილი, სოფაქიზე, მელოდიური ორნამენტები ანკარა ყვავილის ზედაპირზე მოთამაშე სხივივ მოგაგონებდათ და, პირიქით, დრამატულ ადგილებში აზვირთებულ ტალღას. მან ავრეთვე მოგვაგონა სასამღერო ხასიათში ჩაწყობილი. რაც არც თუ ასე ადვილი მისაღწევია შუმანის ნაწარმოებებში.

შოპენის ბრწყინვალე პოლონეზი მან გადმოგვცა ესოტიკური შთაგონებით, დახვეწილი ტექნიკით.

კონკურტის დასასრულ მაყურებელმა გულწრფელი ტაშით დაჯილდოვა ნიჭიერი პიანისტი.

ი. ნადირაძე.
მუსიკათმცოდნე.

სურათზე: უკრავს რუსეთან გავაშველი.

გ. გოგოხიას ფოტო.

მწერლის მართალი გული

მარიამ გარიყულის დაბადების 90 წლისთავის გამო

ქართველ ქალებს განსაკუთრებული ადგილი მიუძღვით მშობლიური კულტურის წინაშე. ისინი მარტო ერთგულ შვილებს არ უზრდიდნენ საქართველოს, მარტო ოჯახურ წესრიგზე და კეთილ ზნეობაზე არ ზრუნავდნენ.

სახლის მკრთალ შუქზე, ჩვილთან ახლოს თეთრად გათეთრებულ ლამეებში სასოებით გამოკაკვადათ ქაღალდზე თავიანთი სულივით მაღალი და ნაბიჯი ასოები. მათი უკვდავყოფილი სახეები სამუდამოდ ამოტვიფრულია ქართული მწერლობის ბალავარზე.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როცა სამოციანელთა მიერ გადვიძებული სალხის გონება მოკმედების ახალ სარბიელს ეძებდა, ჩვენს ლიტერატურას შემატა რამდენიმე განსაკუთრებით დასასხმებელი სახელი.

ისინი უმცროსი დები იყვნენ ეროვნული გადარჩენისათვის ხმალშემართული სახელოვანი რაინდებისა; მათი სულის მეანიდუმლეები, სათნო და ამავე დროს შეუპოვარი თანამებრძოლები. ჩვენს დღეებამდე მოიტანეს მათ გასული საუკუნის ნათელი იმედები, სიღარბაისლე, მყარი ეროვნული შეგნება და კიდევ ის, რაც ხიტყვით არ გამოითქმება, რაც ძველი ნივთების სურნელივით თან სდევს მათს გახსენებას.

ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ მარიამ გარიყული.

დღესაც ბევრს კარგად ახსოვს მისი ჭაღარა, მისი ალერსიანი თვალები, ჩუმი ღიმილება და ის უაღრესად მშობლიური, შინაურული, გულითადი შუქი თუ სითბო, რომელიც ამ ღირსებასთან იყო შეერთებული.

იყო ამ ადამიანში რაღაც ისეთი, რაც მის გარშემო მყოფთ ანდამატივით ეზიდავდა.

„ახლავე აღვნიშნავთ, — წერდა ლევან გოთუა მ. გარიყულის ორტომეულის წინასიტყვაობაში, — რომ მისი ცხოვრების ძირითადი ნიშანი იყო სწორედ ის, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა ცხოვრებიდან გარიყული".

მ. გარიყული ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა 1883 წელს. მამამისი ლუკა თათიშვილი შინნაბარდი კალმასანი, მისივე სიტყვით „უფასო მწერალი" იყო.

ქართული ლიტერატურის, ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის კორიფეებისადმი სიყვარული და თაყვანისცემა მან ოჯახიდანვე შეითვისა.

ამ სიყვარულმა მიიყვანა ის თეატრში ჯერ კიდევ მოწაფეობის ჟამს.

ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა იმ დროს ხალხისნური იდეებით იყო შთაგონებული, არა ხალხისნობის ვიწრო გაგებით, არამედ ხალხთან განუყოფელი კავშირის, მასთან სულიერი თანაზიარობის, მისთვის უანგარო სამსახურის კეთილშობილური იდეალებით.

ასე შეისწავლა ფრთები და რეალურ სოციალურ ძალად იქცა დიდი ილიას ოცნება.

ქართველმა ინტელიგენციამ თავიხი არსებობის მიზანთა მიზანი ერის — დედმოსის სამსახურში დაინახა.

ეს იყო შესანიშნავი ინტელიგენცია, რომელიც თავისი ცხოვრების წესით და იერითაც ხალხის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მან არ იცოდა არც კომფორტის გემო, არც კარიერის ცდუნებანი და, მით უმეტეს, სნობიზმი მდაბიოთა მიმართ.

შემთხვევითი არ არის, რომ მ. გარიყულმა პირველ რიგში სახალხო თეატრის სცენის მოაშურა, თუმცა იმ დროისთვის — 1905 წლის რევოლუციის წინა დღეს — ყველა ქართული სცენა არსებითად დემოკრატიული სულისკვეთების ტრიბუნა იყო.

განსაკუთრებით ღრმა ზემოქმედება მოახდინა მ. გარიყულზე ქუთაისის თეატრის ატმოსფერომ, რომლის რევოლუციურ შემართებას ღადო მესხიშვილის მოქალაქეობრივი მგზნებარება და განუმეორებელი ნიჭი ასაზრდოებდა.

აქ ჩამოყალიბდა ის, როგორც მოქალაქე და როგორც მომავალი მწერალი.

მ. გარიყულის პირველი ესკიზები და მოთხრობები 1905 წლის შემდეგ დაიწერა. ხალხისნურ იდეალებს რევოლუციის შემდგომ წლებში თავისებური ელფერი მისცეს დიდი სახალხო მწუხარების განწყობილებებმა.

ბევრი რამ ამ დროს ისეთი სახოწარკვეთის მომგვრელი სახით გამოიყურებოდა, როგორც ეს მ. გარიყულის პატარა ლირიკულ ესკიზში „ოცნების ბოლო"-შია დახატული. ბევრი ილუზია დაიმსხვრა სინამდვილესთან შეტებისას. მაგრამ უხეშ რეალობასთან შეჯახებას სხვა ბრიც ჰქონდა: საჭირო იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩახედვა, რომანტიული ოცნებებიდან „ჩვეულებრივობის" ნიადაგზე დაბრუნება.

მ. გარიყულის „ერთ-ერთი პირველი მოთხრობა სწორედ ასეა დასათაურებული „ჩვეულებრივი ამბავი".

და აი, მის შემოქმედებაში ერთმანეთს ცვლიან თანაბედროვეთა ტიპიური სახეები, არსებული სინამდვილის ცოცხალი სურათები, თითქმის შეუღამაზებლად გადმოხატული ხასიათები, მდგომარეობები, კონსტრასტები, წინააღმდეგობები.

„ცხოვრების მსხვერპლის" გვერდით „ჯაშუში" დგას, „სოფლის მსუნაგების" ნამოქმედარი „დარიბთა ბერქვეშ" ირეკლება. „უბედურება", „ეამიანობა", „სამაგიერო", „როდემდის?!", „ვისი ბრალია?" — აი, ამ მოთხრობების დამახასიათებელი სახელწოდებები, ხოლო მათ შინაარსს, რომელშიც უტყუარი სიმართლე მწარე გულისტკივილთან არის შეზავებული, დიდი ისტორიული ჯერადობის წყურვილი და წინსაგრძნობა გამსჭვალავს.

ყოველივე ეს მხოლოდ ლიტერატურის საკუთრებად არ წარმოგვიდგება. ეს არის დროის ცოცხალი დოკუმენტები — იმდენად წრფელი თხრობა, რომ ხანდახან ფიქრობ, ერთი წუთის წინ თავისი თვალით დანახულს გიყვება ბეჭერი.

„ქვეყნის" მიერ განუკითხავთ „ლურჯი ოქრო", „ტყიბული", „ჩვენი შაქარი", „ვანი", „ქუთაისის ელთოფონის ქარხანა" და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მ. გარიყულის სამავნო მოთხრობები, რომელთა ბეჭდვა მან ჯერ კიდევ ძველ „ნაკადულსა" და „ჯეჯილში" დაიწყო.

გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის სამი რომანი „ახალი განთიადი", „ანარეკლი" და „ბარეგული მიჯნა".

მ. გარიყულის პერსონაჟები ხალხის წიაღიდან არიან გამოსულნი. თავიანი ცხოვრებით ისინი ხალხის ბედიღბალს განასახიერებენ, უბრალოდ ცხოვრობენ, უბრალოდ, გაუზვიადებლად გადმოხატავენ თავიანთ სულიერ საჭირეობას, ბევრს არ მოითხოვენ ცხოვრებისაგან. ის, რაც მათ სჭირდებათ, ისევე მარტივი და აუცილებელია, როგორც ჰაერი, მზე, მარილი.... ამის გამო დიდი გარდატეხების დროსაც, ეამია ბრუნვის, სოციალური ჭარეტილების მკაცრ განსაწმენდში გავლის შემდეგაც არ ღალატობენ თავიანთ სადა ადამიანურ ბუნებას.

სიყვარული და რწმენა უნათებს მათ ცხოვრების დიდ გზას. ამიტომაც იუწვევს ჩვენში მშურავალ თანაგრძნობას მათი მოძრაობა ამ გზაზე.

მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი გმირი მ. გარიყულის შემოქმედებისა, ყველაზე ნათელი სახე მის მიერ შექმნილ პერსონაჟთა შორის მაინც თვით ავტორის პიროვნებაა.

ეს „გმირი", რომელიც ყოველ მის ნაწარმოებში ოდესღაც ოდესღაც ერთ-ერთ ადგილზე ამოიტივტივებს, ეს ის ადამიანია, ვინ „ეამიანობა" ეწოდებოდა ადრინდელ ეპოქაში